გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 თებერვალს.

---

6 თებერვალს, შაბათს, დილის 10 საათზედ გარდაცვალებულის **თავადის გიორგი ვახტანგის ძის ბარათაშვილის** ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება დიდუბის ეკკლესიაში. **ქნეინა ბარბარე გიორგის ასული ბარათაშვილისა** თავის შვილებით აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთა.

(1—1)

---

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

---

ქართული თეატრი

პარასკევს, 5 თებერვალს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან გამართული იქნება

უკანასკნელი წარმოდგენა

I

**ალღუმი**

კომედია—ხუმრობა 4 მოქ. გადმოკ. **ვალ. გუნიას** მიერ

მოქმედება სწარმოებს დაბა თიანეთში ჩვენ დროს

II

უკანასკნელი მოქმედება ერისთავის დრამიდგან

**სამშობლო**

III

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას ღებულობენ ყველა ქალი და ვაჟი არტისტები, კ. დ. ყიფიანიც

ადგილების ფასი დაკლებულია შეგირდებისთვის ადგილები ამფითეატრში ლოჟების უკან 55 კაპეიკად.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ვ. გუნია

---

დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

წიგნი:

**თამარ მეფე**

(1184—1213)

შედგენილი

დ. კარიჭაშვილის მიერ

ფასი სამი შაური

---

ტფილისი, 4 თებერვალი

ჩამომავლობა დიდის მადლობით არ მოიგონებს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს. ევროპის ერთ ვეშაპივით დააწვა მილიტარიზმი და სულსა ჰხუთავს, მშრომელ ხალხის ნაწვავ-ნადაგს უწყალოდ აქრობს და ანადგურებს. შინაური საქმეები თითქმის ყველგან აწეწილ-დაწეწილია; ევროპიელნი, როგორც შინ, ისე გარედ, ერთმანეთს მგლებივით უცქერიან და ბუზღუნებენ. ევროპის ცას თითქოს შავი ღრუბელი გადაჰფარებია, დღე ღამედ გადუქცევია და აღარავინ ელის ცის მოწმენდას, გათენებას.

მაგრამ ისიც ხომ გვინახამს, რომ ღრუბლიანს ღამეში მარგალიტივით, ხან აქ, ხან იქ, ღრუბელთა შორის, გამოაბრჭყვიალებს ხოლმე ობოლი ვარსკვლავი და ადამიანს სიამოვნებით და ნეტარებით უვსებს შეწუხებულს გულს. ასეთს ნეტარებასა და სიამოვნებას გვაძლევს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გუშინდელი დეპეშა ლონდონიდგან.

მკითხველი, უეჭველია, წაიკითხავდა ამ შესანიშნავ დეპეშას, რომელიც მოკლედ გვაუწყებს, რომ დიდებულმა მოხუცმა გლადსტონმა პარლამენტს წარუდგინა „ბილლი“ ირლანდიის თვით მმართველობისა.

ძლივს, დიდის ტანჯვისა და ვაივაგლახის შემდეგ ბედკრული ირლანდია მოესწრო ამ სანეტარო დღეს. რვა საუკუნე იბრძოდა გამწარებით, რომ მოეპოვებინა უფლება თავის თავის გამგეობისა, ბევრი მამულის შვილი დაიღუპა, ბევრი უდროოდ ჩავიდა სამარეში, ბევრმა დედამ გამოიტირა თავისუფლების მაძიებელი და მისთვის განწირული შვილი და მხოლოდ დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, ირლანდია ეღირსა იმ წუთს, როცა ინგლისის ერს განუზრახავს თავის დიდებულ მოქალაქეს პირით მიანიჭოს ირლანდიას თავისუფლება, სრული ავტონომია. შეიძლება „ბილლი“ არ იქმნას შეწყნარებული, მაგრამ სულ ერთია, დღე განთავისუფლებისა მოახლოვებულია; რაკი დიდს ერს დაეძრა ასეთი დიდი და დროს შესაფერი წადილი, უსათუოდ განხორციელდება კიდეც ადრე იქნება, თუ გვიან. თვით მმართველობის მინიჭება ირლანდიისათვის გარდაიქცა ლიბერალთა დასის უპირველესს საქმედ, მათის მოქმედების და მოღვაწეობის ხმა ღაღადისად, ამიტომ „ბილლმა“ ბევრი დაბრკოლებაც რომ ჰნახოს, მაინც ღელღოს გაიტანს, რადგან ეგაა რწმენა მთელის ძლიერის დასისა.

როგორც სჩანს დეპეშიდგან, ირლანდიას ეყოლება ორი პალატა, ზედა პალატა, რომელშიაც იქმნება 48 წევრი და ქვედა პალატა, სადაც იქნება 103 დეპუტატი. თვით ინგლისის პარლამენტში ირლანდიას ეყოლება 81 წარმომადგენელი. ეხლანდელი პოლიცია ირლანდიისა, რასაკვირველია, გაუქმდება და საპოლიციო საქმეთა გამგეობა თვით ირლანდიის პარლამენტს მიენიჭება. დიდებულ მოხუცს ორი საათი ულაპარაკნია ირლანდიის ავტონომიის გამო პალატის წინაშე. გლადსტონს დიდის ალტაცებით მიეგებნენ მომხრენიო და თვით პალატის დარბაზი ავსებით იყო სავსე ხალხით. სიტყვის დასასრულ გლადსტონს უთქვამს, რომ ამ ჩვენ მიერ წარმოდგენილ „ბილლის“ შეწყნარება დიდებას, ძლიერებასა და ერთობას იმპერიისას უფრო განამტკიცებსო.

ირლანდიის ერი, ინგლისი და თვით ევროპა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს გლადსტონს, აბა როდის წარუდგენს პარლამენტს ირლანდიის ავტონომიის შესახებ კანონ-პროექტსაო, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ მარტო ამ საქმის განსახორციელებლად იკისრა, ღრმა მოხუცებაში, მეთაურობა ლიბერალთა დასისა ამ შესანიშნავმა კაცმა. ნურცარავის გაუკვირდება, რომ ასეთის ყურადღებითა და თან თანაგრძნობით შეჰყურებს ევროპა თვალ-წარბში საკვირველს მოხუცს. აბა გარშემო მიიხედ მოიხედეთ, რას დაინახავთ? ევროპის სახელმწიფონი მარტო სხვის დაჩაგვრას ჰფიქრობენ, სუსტის აბუჩად აგდებას და გათახსირებას სცდილობენ.

გერმანია სწავლა-მეცნიერებით იყო განთქმული და დღეს ამ ძლიერ სახელმწიფოს მეთაურმა, კანცლერმა კაპრივიმ სამხედრო კანონ-პროექტი მოახვია თავს და რეიხსტაგს ემუდარება, ფული მოგვეცით, საომარი საჭურველი უნდა დავამზადოთ, საკმაოდ არა გვაქვს, და ჯარის კაცებიც უფრო მეტი უნდა ვიყოლიოთ, ვიდრე ეხლა გვყავსო. შეადარეთ გერმანიის მეთაურისაგან შემუშავებული ახალი კანონი ირლანდიის „ბილლს“ და მაშინ იგრძნობთ, რა დიდი მანძილია მათ შორის, ამინ მიხვდებით, რათაც უცემსმ დღეს ევროპას სიხარულით გული. გლადსტონის კანონი ერის მკვდრეთით აღდგომას მოასწავებს, კაპრივისა-კი—დათრგუნვისა, გათახსირების ნიშანია. დიაღ, ყველა ჩაგრულთათვის გლადსტონის „ბილლი“ სანუკარი, სანატრელი და სასურველი საქმეა და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ყველა, ვისაც-კი გამოუცდია ბედის უკუღმართობა, დაჩაგრულობა, დაწიოკება, სამშობლოს აოხრება და გავერანება, გულის ცემით და ალტაცებით მიეგებება ჩაგრულთა მანუგეშებელს მხცოვან მოღვაწეს და გულ-წრფელად უსურვებს სრულს გამარჯვებას.

გლადსტონს ეხლანდელ პარლამენტში მაინც და მაინც დიდი უმრავლესობა არა ჰყავს. მისი დასი მოწინააღმდეგეთა დასს სულ 48 კაცით სჭარბობს; ამათშიაც ზოგი გარდაიცვალა, ზოგი ავადმყოფია და ამან უფრო შეასუსტა გლადსტონის უმრავლესობა, რის გამოც საშიშია, ვაი თუ „ბილლი“ უარყოფილ იქმნას. მაგრამ გლადსტონი გამოცდილი მებრძოლია პარლამენტის სარბიელზე და ტყუილად არ ჩაუვლია მისთვის თითქმის სამოცის წლის საპარლამენტო მოღვაწეობას. ირლანდიის „ბილლთან“ ერთად გლადსტონი წარუდგენს პალატას ბევრს სხვა კანონ-პროექტებსაც, რომელთაც

---

## ფელეტონი

---

### მასლაათი

№ 5.

„საამიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართველად“

რუსთაველი

ეხლა საყველიერო ქეიფისა და განცხრომის დროა და, რასაკვირველია, მკითხველიც საოხუნჯო მასლაათს მოელის. ამ ჟამად სერიოზულს ფელეტონს აბა ვინ წაიკითხავს, როცა უმისოდაც ჩვენს საზოგადოებას მაგრე რიგად გული არ უგორდება ისეთს ნაწერზე, რომლის გაგებას მცირეოდენი ჭკუის ჭიმვა ესაჭიროება... ტყუილად-კი არ გვისაყვედურებენ ზოგიერთნი კეთილის-მყოფელნი—თქვენი გაზეთი მძიმე საკითხავია, მკვდარ და უსიცოცხლო საგნების გამო ბაასობს და ბჭობს და კილო, ენაც ისეთი ძველებური აქვს, რომ აწინდელი მკითხველი ვერაფერს გაიგებსო... ამას წინად ერთი „ანტი-ივერიელი“ მარწმუნებდა, რომ თქვენის გაზეთის კითხვისა მეშინიან, რადგანაც თავ-ბრუს დამახვევს ხოლმე და მაჯლაჯუნასავით გულზე დამაწვებაო. ჩემის აზრით, ასეთს საყვედურს თავისი საბუთი აქვს. ეხლანდელ დროს ყველას მსუბუქი და საამური, გასართობი და სასეირო ნაწერი მოსწონს. უმრავლესობა საზოგადოებისა და კერძოდ ინტელიგენციისა ისე დაქუცმაცდა და დახურდავდა, რომ გაზეთისაგანაც მარტო გართობასა და თავის შექცევას თხოულობს. მწერლობაც უნებლიედ აჰყვა ამ ქარაფშუტულს მიმართულებას და შესაფერს საზრდოს აძლევს საზოგადოებასა—ტაკიმასხარაობს და ბერიკაობს, აცინებს და ახარხარებს მკითხველსა.

რას იზამთ, როცა მოთხოვნილება ასეთია და გაზეთიც სარფას აქედგან გამოელის! ამიტომ ლიტერატურულ ოხუნჯობასაც თავისებური ფერი და ხასიათი დააჩნდა. უწინ ჩვენი მწერლები თუ ოხუნჯობდნენ, უეჭველად რაისამე ყალბისა და სასაცილო აზრის გამო. ეხლა-კი ოხუნჯობისა და გონება-მახვილობის ადგილი ლანძღვა-თრევამ დაიჭირა და გამეფდა ეგრედ წოდებული „ნადირის წამოგდება“. ზოგიერთს არც-კი ეცოდინება, რას ნიშნავს ეს ნადირის წამოგდება. „ნადირის წამოგდება“ ის გახლავთ, როცა მწერალი კალმით ნავარდობს და, რაკი რომელისამე საქვეყნო საქმის გამო არაფრის თქმა არ შეუძლიან, ვისმე პირადად ნიშანში ამოიღებს, წინ გაიგდებს და ნაგეშ მეძებარისავით სჩიჩავს და სწეწავს... ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა „ნადირის წამოგდება“ და, თუმცა ზოგჯერ ასეთს ვარჯიშობას, სამწუხაროდ, თავ-პირის მტვრევაც მოსდევს ხოლმე, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან: ნადირობა გასართობი და სასიამოვნო საყურებელია, საზოგადოებას ძრიელ მოსწონს და ამიტომ აბა თავი რად დაანებონ!..

ეხლავე აღთქმას ვსდებ, რომ მე არც ერთს ნადირს არ წამოვაგდებ, მაგრამ საზოგადო მავნებელ საქციელისა და ზოგიერთ მრუდე აზრების წამოგდებაზე-კი ხელს ვერ ავიღებ. ეს წმიდა მოვალეობაა მწერლისა. ამ ხანად ერთი საქციელი და ერთიც აზრი უნდა წამოვაგდო და გთხოვთ მარტო ეს იკმაროთ.

უეჭველია, ყველას ეცოდინება, რომ ქართველ თავად-აზნაურობამ განიზრახა კახეთში რკინის გზის გაყვანა. სარკინიგზო საქმე მძიმე საგანია და ესაჭიროება კიდეც დიდი დაფიქრება, ალებ-დალება და აწონ-დაწონა. მწერლობის მოვალეობაა ასეთს საქმეში ხელ-მძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებას, ავი და კარგი განუმარტოს, მხარი მისცეს თავად-აზნაურობას, რჩევით დაეხმაროს, გაამხნეოს. ასეც მოიქცა ზოგიერთი მწერალი და, შეძლებისა და გვარად, შემწეობა გაუწია საზოგადო საქმეს. მაგრამ სხვებმა-კი სხვაფრივ ინებეს: იმათ საქვეყნო საქმე სალაყბოდ და სასაცილოდ გარდაქმნეს, „წამოაგდეს“ ჩვენი კეთილ-შობილი წოდება და გაიგდეს წინ—შენ ღარიბი და ლატაკი ხარ, ფული შენ არა გაქვს და ცოდნა, უმეცრებით მოცულს როგორ-ღა შეგიძლიან რკინის გზის გაკეთებაო და სხვა ამისთანები!.. ერთი მწერალი იქამდე მივიდა, რომ მთელს რუსეთს

მოუთმენლად ელიან ლიბერალები და უნიონისტები. უნიონისტები იგივე ლიბერალები არიან და მარტო იმისთვის განუდგნენ გლადსტონს, რომ ირლანდიისთვის ავტონომია მოინდომა. დანარჩენი კანონები, გლადსტონის მიერ შემუშავებული, უნიონისტებისთვისაც სასურველია. მათ შეწყნარებაზედ ისინი უარს ვერ იტყვიან, რადგან ეგ ღალატი იქნება მისავე რწმენისა და აბა მაშინ რას ეტყვის ინგლისის ერი, რომელმაც გაჰგზავნა იგინი პარლამენტში მათის სურვილის განხორციელებისა-თვის. აი ამიტომ უნიონისტები იძულებულნი იქმნებიან მხარი დაუჭირონ გლადსტონს და თეთრი კენჭი მისცენ ირლანდიის „ბილლს“. ხოლო თუ ამ საქმეში უღალატებენ, სამინისტრო გადადგება, ბურთი და მოედანი კონსერვატორებს დარჩება და საზოგადოდ ყველა ლიბერალთათვის სასურველ რეფორმების განხორციელებაც დიდის ხნით გადაიდება.

დიაღ, ასეთი საპარლამენტო ხერხიც იხმარა, სხვათა შორის, მხნე მოხუცმა და ვნახოთ, რითი გათავდება მისგან დაწყებული დიდებული საქმე.

ისკანდერი

# ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, გარდა ბორჯომისა და კახეთის რკინის გზის შტოებისა, დაუნახავს საჭიროდ შემდეგის რკინის გზის შტოების გაყვანა: შუშისა, გელქჩაისა, შემახისა, ხონისა და სუხუმ-ზუგდიდ-ახალ-სენაკისა. სასარგებლოდ მიაჩნიათ აგრეთვე სპარსეთისკენ რკინის გზის გაყვანა და გამოუკვლევიათ კიდეც, საით უფრო იაფად დაჯდება ეს გზა.

*** ამ ხანებში დაიბეჭდა ერთი სომხური წიგნი „აღწერა ოსმალეთის სომხეთისა“. წიგნს დართული აქვს რუკაცა და ამ რუკაზედ სომხურად აქვს ნაჩვენები სხვათა-შორის, აჭარა, ჭანეთი და ართვინის მხარე.

*** ჩვენ მივიღეთ სიღნაღში შეკრებილი ბ-ნ კ. ი. ჯაფარაძის მიერ 16 მან. განსვენებულ ი. ი. კერესელიძის სახლობის სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ტფილისის ღარიბთა დასახმარებლად 28 იანვრიდგან 1 თებერვლამდე პოლიცმეისტერის კანცელარიას მიუღია: გენერალ ვინერისაგან 25 მან., „Тифлискій Листокъ“-ის რედაქციაში შეკრებილი 34 მ. და ბ-ნ იუშისაგან 3 მან., სულ 62 მან.

იმავე კანცელარიას დაურიგებია ღარიბთათვის 27 იანვრიდგან 1 თებერვლამდე 29 მან., რაც წინად დარიგებულ ფულით შეადგენს 1035 მანეთს.

*** სიღნაღი: ვიდრე სიღნაღის განათების საქმე იჯარით ჰქონდა აღებული ს. ო. სარქისოვს, ქალაქი კარგად იყო ხოლმე განათებული სულ 40 ფარნის შემწეობით. ოჰანეზოვმა რის ვაი-ვაგლახით აილო იჯარის ფული და მერე მიატოვა ეს საქმე, რომელიც დღეს სხვას აქვს აღებული. მას უკან ქალაქი კარგად ვეღარ ნათდება, თუმცა 50 ფარანი სდგას ქუჩებში. ღამ-ღამე სიბნელის გამო აქედ ძალიან გახშირდა წვრილმანი ქურდობა. ასე გასინჯეთ, „ვივესკებსაც“-კი იპარავენ. ამას წინად ფეხსაცმელების დუქანიც გასტეხეს ქურდებმა, მერე შეიპარნენ ერთის გავლენიანის კაცის სახლშიც, მაგრამ მალე შეუტყეს და კუდით ქვა ასროლინეს.

*** იქიდამვე: ამას წინად დეპუტატების არჩევანები იყო. ამოირჩიეს ისევ ძველები. ამ არჩევანებს მცხოვრებნი უყურადღებოდ მოექცნენ, რადგან ოთხის თვის შემდეგ საქალაქო თვით მმართველობა უნდა იქმნას შემოღებული. დიდი ლაპარაკია ამის გამო ჩვენში: ზოგი იძახის მოურავი და საბჭო არ გვინდა, მამასახლისობა შემოიღონო, ზოგი-კი სულ იმას ჰნატრობს, ნეტა მალე მოვესწრათ საქალაქო შემოკლებულ დებულების შემოღებასაო.

*** ქიზიყი: 25 იანვრიდამ 28-მდე აქედ დიდი თოვლი მოვიდა. ამბობენ, რომ დიდი ხანია ამოდენა თოვლს არ მოვსწრებივართო. გზები შეიკრა, მისვლა-მოსვლა გაძნელდა. ცხვარის პატრონებმა აღარ იციან, რა ჰქნან. სიცივე ცალკე ჰხოცავს ცხვარს და საკვების უქონლობა ცალკე. ამ გარემოებამ ძალიან გააძვირა ცხოვრება, მეტადრე ბაზარ ადგილას. თოვლისა და სიცივეებს მოჰყვა მრავალი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა: სურდოხველა, მჭვალი, სახადი და სხვ.

*** თელავი: 17 იანვარს მაზრის უფროსის ბარათით მიწვეულნი იყვნენ ქალაქის მცხოვრებნი იმ ხუთის ფრიად საყურადღებო საგნების გადასაწყვეტად, რომლის შესახებ ამას წინად მოგწერეთ. სჯა-კამათი საყურადღებო იყო და ამიტომ ამ კრების შესახებ ვრცლად მოგწერეთ. კრებამ იქონია სჯა ხოლერასთან საბრძოლველ ღონისძიებათა მისაღებად სამასის თუმნის გაწერის გამო მცხოვრებთა შორის, წყაროს წყლების შესახებ და შემოკლებულ საქალაქო დებულების შემოღების გამო.

*** ოზურგეთი: დღეს (31 იანვარს), საღამოს შვიდ საათზედ, აქაურ საპატიმროდგან გაიქცნენ ტუსაღები: იასონ შავიშვილი და ვლადიმ ქლენტი, რომელთაც ბრალდებოდათ ავაზაკ მიქელაიშვილის ამხანაგობა და რამდენისამე კაცის გაძარცვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ ამ სატუსაღოდგან ტყვეები გაქცეულიყვნენ. მიზეზი ამ ტუსაღების გაქცევისა, რომლებიც იქნება ძალა-უნებურად გახდნენ ავაზაკებად, ნუ გგონიათ, რომ ციხის უვარგისობა იყოს, ან კარი და ჭერი გაეტეხოთ და ისე გასულიყვნენ. არა, აქ მიზეზი სულ სხვაა, რომლის დასახელება არც არის საჭირო... როცა ეს ამბავი მოხდა, სწორედ იმ დროს აქ ქორწინება იყო და მთელი ოზურგეთის ხალხი იკკლესიაში შეკრებილიყო: „დამები კავალრებით“ მეფე-დედოფლით და მაფერ-პოდრუგებითურთ“. წარმოსთქვა თუ არა მღვდელმა: „გვირგვინოსან იქნების მონა ესე ღვთისა ვახუშტი“, გაისმა თოფის ხმა და ეკკლესიაში მყოფს სატუსაღოს ზედა-მხედველს ამბავი მოუვიდა, ტუსაღები გაიქცნენო. იმ წამსვე წავიდა. აქაურმა ადმინისტრაციამ ფიცხელი განკარგულება მოახდინა გაქცეულთა დასაჭერად, მარა რა იქმნება იმათ დაჭერით, როცა დაჭერილებიც გარბიან.

*** გაზეთი „ნორ-დარი“ ამბობს, რომ გორის მაზრაში, სოფელ ახალქალაქს სომეხ ქალთა განათლების საქმე სამწუხარო მდგომარეობაშიაო. ამას გარდა, ყმაწვილმა ქალებმა სრულიად აღარ იციან სომხური ენა და ქართულს ლაპარაკობენ. იმათ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ბაქოს სომხობამ და ფული გაუგზავნა, ახალქალაქელ სომეხთათვის სკოლა დააარსეთ და ქალებს სამშობლო ენა ასწავლეთო.

*** 3 თებერვალს საღამოს, მიხეილის ქუჩაზე, „სტრელნას“ ბაღში, ივანე ჩითახოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და 5,000 მანეთის საზარალი მოახდინა. სახლი დაუზღვეველია.

## მთავრობის განკარგულებანი

მიეცა გუბერნსკი სეკრეტრობა ქუთაისის გუბერნიისა, ბათუმის ოლქის და გონიის საპოქაულოს მოხელეს კოლლეჟსკი რეგისტრატორს კილიპტარს.

ებოძა ორდენი სტანისლავა 1 ხარისხისა დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგეს, სტატსკი სოვეტნიკს თ. მიხელ ნაკაშიძეს.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

31 იანვარი

უკანასკნელს ორს კრებასე, როგორც წინანდელებზედაც, საბჭო უმთავრესად ხარჯთ აღრიცხვით იყო გართული. პირველ მათგანზე, წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, დაუბრუნდნენ ისევ წყალის გამოყვანის საქმეს. თუმცა ეს საგანი გადაწყვეტილი იყო და ხელ-მეორედ ლაპარაკი საქმეთა სიაში არ იყო მოხსენებული, მაგრამ, საქმის სიმძიმის მიხედულობით, ქალაქის მოურავმა ნება მისცა ხმოსნებს ყოველივე მოსაზრება ამ საგნის შესახებ წარმოეთქვათ. რამდენიმე ხმოსნები ქალაქში გავრცელებულ ხმებით შეშინებულნი, ამბობდნენ, რომ წყალს ჩვენ არავინ დაგვანებებსო, რადგან მთელი ერთი სოფელი იმ წყალით მიდის იოლად, წისქვილები აქვთ ზედ დამართულიო; მაშასადამე, იმის გამოკვლევა, თუ როგორ წამოვიყვანოთ ის წყალი, და მარტო ამისთვის სამას თუმნის დახარჯვა უაზრობა იქნებაო. ზოგი ამბობდა, რომ იმ სოფელში სასმელი წყალი თითქმის ყოველ ოჯახს ეზოში აქვსო და, რაც შეეხება იმ „გოჯილა“ წისქვილებს, რომელიც იმ წყალზედ არის გამართულიო, ეს ხელს ვერ შეგვიშლის, რადგან ან მორიგებით შევიძლებთ მათს შესყიდვას პატრონებისაგან, ან და მთავრობის დახმარებით იმ წყლების ექსპროპრიაციაა შესაძლებელიო სწორედ ისე, როგორც რკინის გზის გაყვანის დროს იქცევიანო. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ მეორე დღეს ქალაქის გამგეობის ერთი წევრი ბ-ნი გაბაშვილი და ერთიც ხმოსანი—ჯაიანი წასულიყვნენ და ადგილობრივ ენახათ ის წყალი და გამოეკითხათ, არის კიდევ სხვა სასმელი წყალი მცხოვრებლებისათვის, თუ არა. ამას გარდა ბ-ნს გაბაშვილს მიენდო წყალი წამოეღო და ტფილისის ლაბარატორიაში ქიმიურად გამოკვლევისათვის გაეგზავნა. საჭიროა აქვე მოვიხსენოთ, რომ საბჭოსაგან გაგზავნილ კაცებს გაჰყვა თვით ბ-ნი კონრადი, რომელიც ამას წინად აქ იყო შემთხვევით. გაგზავნილები დაბრუნდნენ და მოიტანეს ამბავი, რომ, როგორც ბ-ნმა კონრადიმ გამოიანგარიშა, ის წყალი საკმაო არ არის ქუთაისისათვის, რადგან დღე და ღამ 50 ათას ვედროს მეტს არ იძლევაო. ბ-ნი ძოწენიძეკი, ამ წყლების პირველი გამომკვლეველი ამტკიცებს, რომ ბ-ნი კონრადი ანგარიშში შემცდარაო. ახლა ბ-ნი ძოწენიძე მიდის იმ წყლების ხელ-ახლად შესამოწმებლად.

ჩვენ ისევ საბჭოს საქმეებს მივაპყრათ ყურადღება. იმ კრებაზედვე გადასწყდა დაუბოლოვებელი და ნაჯახირევი საგანი იმის შესახებ, თუ რამდენი დაუნიშნონ გასამრჯელოდ ხუროთ-მოძღვარს. ეს საქმე ამ ნაირად გადასწყდა: ჯერ-ჯერობით, სინამ ვერ შევიძლებთ ამ საქმისათვის წლიურად სამასის თუმნის გადადებას და საკუთარის ხუროთ-მოძღვრის დაჭერას, ვიყოლიოთ ისევ ძველი და მივსცეთ წელიწადში 1200 მანათი, მაგიერ 1500 მანათისაო.

უკანასკნელს კრებაზედ 30 იანვარს, როცა ყველა წვრილმანი ხარჯები განხილულ და დამტკიცებულ იქმნა, ადგა ბ-ნი ჩიკვაიძე და მოახსენა ქალაქის მოურავს, რომ ჩვენ გვსურს კვლავ დავუბრუნდეთ ზოგიერთ ხარ-

---

აუწყა—ქართველი თავად-აზნაურობა ისე გონება დახშულია, რომ არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს ხიზნების დებულების გამო თხზვენის დაწერაო... და თანაც დასძინა—ასეთის თხოვნის დაწერა სულ უბრალო საქმეაო!.. და საოცარი კიდევ ისაა, რომ ასეთს საქციელს და ჯღაბნას „გონებისა და კრიტიკის თვალით“ საქმის განმარტებას უწოდებენ! ბატონებო, თითონ თავად-აზნაურობა კარგად ჰხედავს თავის მდგომარეობას, თითონ იცის—ღატაკია თუ მდიდარი, უმეცარი თუ მეცნიერი: ამას თქვენ არ გეკითხებიან... მაგრამ ვაჟ-ბატონები არაფერს დაგიდევენ. მკითხველ საზოგადოებას სეირი და გართობა უნდა, „ნადირის წამოგდება“ მოსწონს. წამოაგდეს კიდეც. ბაზაზხანა იცინის, ხარხარებს, ტაშს უკრავს. გაზეთსაც ეს უნდა—ბაზარი გაეხსნა, ნომერი ბლომად გაიყიდა, და მეტიც ხომ საჭირო არაფერია—მორჩა და გათავდა!

ბედ-კრულმა კახეთის რკინის გზამ სხვანაირი სეირი და გართობაც აჩვენა საზოგადოებას. მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობაც აქვს გზას ერის ცხოვრებაში. აგერ რამდენიმე საუკუნეა, რაც საფრანგეთის ერთმა დიდ სახელოვანმა მინისტრმა სთქვა, რომ გზები სახელმწიფოს ძარღვებია და ამ ძარღვებში მდინარებს ის სისხლი, რომელიც აბრუნებს საეკონომიო ცხოვრების ჩარხსაო. მართალიც არის: გზას უმეტესად საეკონომიო და სავაჭრო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ასე ესმით კახელებსაც. მაგრამ—დახედე უმეცრებას!—თურმე „გონების განვითარება და კაცობრიობის ჰკუის ზრდა უმთავრესად“ გზებზე ყოფილა დამოკიდებული, თურმე გზების გაყვანა ყოფილა „უმთავრესი საშუალება გონების განვითარებისა“... მე აქამდე სხვაფრივ მეგონა, ეხლა-კი ვხედავ, რომ ეს ახალი აზრი ახალს კვალს გაავლებს კაცობრიობის განათლების ისტორიასა. თუ მართლა „კაცობრიობის ჭკუის ზრდა“ გზებზეა დამოკიდებული, მაშ ძირეულად უნდა შეიცვალოს ამ ჭკუის ზრდის ისტორიაც. ისტორია სხვა კვალს უნდა დაადგეს: ძიება და კვლევა ბილიკების აწერით უნდა დაიწყოს, ბილიკებს ზედ მიაყოლოს შარა და საქარავნო გზები იმათის ჯორ-აქლემებით და ყველა ეს დააბოლოვოს რკინის გზითა... როგორც ჰხედავთ, განათლების ისტორიას დიდი ცვალება მოელის, ბევრი შრომა და ვაივაგლახი უძევს წინ და ეს მით უფრო, რომ ურიცხვი ბილიკი, შარა და საქარავნო გზა აღგვილა და გავერანებულა დედა-მიწის ზურგზე, ბევრი რკინის გზა დამსხვრეულა და აუარებელი გემი დაღუპულა „ხმელთა შორის ზღვაში, რომელიც შექმნილა განათლების აკვანი“... ყველა ამას გამოჩხრეკა და გაჭქა უნდა. სწორედ საბრალო უნდა იყოს განათლების ისტორიის მომავალი მკვლევარი, მაგრამ რას იზამს ბეჩავი და ან ბედს სად წაუვა, როცა, „რომ გამოვიკვლიოთ, რა ღონისძიებით მიუღწევიათ განათლებულს ძველებურს ერებს დიდის გონებისა და მეცნიერების სიმაღლემდე, გამოჩნდება, რომ უმთავრესი საშუალება მათის გონების გახვითარებისა ყოფილა ადვილი სასიარულო გზები“...

რასაკვირველია, ჩვენ არ ვიცით—სად, ან რომელ გზით და რა გემით უვლია ამის მთქმელს „დიდის გონებისა და მეცნიერების მისაღწევად“, მაგრამ საბერძნეთის და რომის ძველნი მწერალნი-კი, რომელნიც ჩვეულებრივის გზით მოგზაურობდნენ, პირდაპირ მოგვითხრობენ, რომ განათლება გაჩაღებული ყოფილა იქაც, სადაც ერთს ერს მეორესთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონია და მაგალითად ასახელებენ ეგვიპტეს, ინდოეთს. ამ სახელმწიფოებს ჩინეთიც უნდა დაუმატოთ. თითოეულს ამ სახელმწიფოში ძველადვე აღორძინდა თავისებური განათლება, თუმცა ყველა მათგანი მოშორებული იყო სხვა ერებს, იმათთან დამოკიდებულება და კავშირი არა ჰქონდა და განათლებასაც კასტიური ხასიათი ჰქონდა. ეხლაც-კი ჩინეთი უფრთხის ევროპიელებსა, მაგრამ აბა დააკვირდით იმის კულტურას, — ბევრში ეს კულტურა არ ჩამორჩება ევროპიელთა კულტურასა. ამას თითონ ევროპიელნი აღიარებენ. განათლების კვალის მაჩვენებელს ავტორს-კი ჰგონია, რომ რამდენადაც რომელსამე ერს ბევრი ჩქარა სასიარულო გზები აქვს, იმდენად „გონების განვითარება და მეცნიერების სიმაღლე“ მაღლა სდგას. იმისის აზრით, თუ ამ საუკუნეში ევროპელებმა საკვირველი განათლება გამოიჩინეს, ამის „უმთავრესი საშუალება“ ისაა, რომ „იმათ ორთქლის ძალა და რკინა იხმარეს უფრო ჩქარა სასიარულოდ“... მაგრამ ზოგი თითონ ევროპიელებსა ჰკითხოს, იმათ მეცნიერების ნაწერები წაიკითხოს და მაშინ დაინახავს—თუ რა არის უმთავრესი საშუალება განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯის განხილვასაო. ჩვენ გვსურს პოლიციის უფროსს დავუნიშნოთ, როგორც წინად იყო, სახლის დასაქირავებლად ოთხასი მანეთი, ნაცვლად 240 მანეთისაო. თუმცა კანონით მეტი არ მოგვეთხოვებაო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს კანონი ეხლა გამოუსადეგარია, რადგან რიგიან სადგომს ამ ფასად ვერ იშოვის კაციო. საბჭოს უმრავლესობა დაეთანხმა ბ-ნ ჩიკვაიძის აზრს. შემდეგ იმავე ბ-ნ ჩიკვაიძემ ურჩია საბჭოს გამგეობის დაჯილდოებაცა, რადგან გამგეობამ დიდი ბეჯითობა და უნარი გამოიჩინა როგორც ხოლერობის დროს, ისე საზოგადოდ ქალაქის საქმეების წარმოებაში. ქალაქის მოურავმა მაშინ დაუთმო თავისი ადგილი ერთ ხმოსანთაგანს, რადგან კანონით იმას აღარ შეეძლო აღესრულებინა თავმჯდომარეობა ამ საგნის განხილვის დროს, და დასტოვა, როგორც მან, ისე ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა მურადოვმა დარბაზი კრებისა.

ამ საგნის განხილვის დრო|ს გაიმართა ცოტაოდენი კამათობა, ერთის მხრივ ბ-ნ ნაზაროვისა (მას მიემხრო კიდევ, ბ-ნი მიქაშვილი) და, მეორეს მხრივ, ბ-ნ ჩიკვაიძისა, გველესიანსა და ალიბეგოვის შორის. ბ-ნი ნაზაროვი ამბობდა, რომ ბ-ნი ლოლუა და მურადოვი ექვსი თვეა მხოლოდ, რაც ქალაქის სამსახურში არიან და ასეთის მცირე ხნის სამსახურისათვის დაჯილდოება კაცისა უსაბუთო საქმე იქმნება. კაცს მხოლოდ ხანგრძლივი და სასარგებლო სამსახურისათვის აჯილდოვებენ და არა სამსახურში შესვლისათანავეო. ამას გარდა იმ დროს, როცა ბ-ნ ლოლუას ირჩევდნენ, ყველანი იმას გაიძახოდნენ, რომ ბ-ნი ლოლუა სრულიად უანგაროა და ჯილდოსა და ჯამაგირის ინტერესი არა აქვსო. შეძლებული კაცია, და თუ ასე ეტანება ქალაქის მოურაობას, ეს მხოლოდ პატიოსანი თავმოყვარეობაა მისის მხრივ და ქალაქის განკარგების სურვილიო; ეხლა-კი ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ყოველი კეთილი საქმე მხოლოდ ფულით დაჯილდოვდებაო. დავაცადოთ თვისის კეთილის განზრახულების შესრულება და მერე რიგიც მოითხოვს ჩვენგან, მადლი ვუძღვნათ და სამაგიერო პატივისცემა გავუწიოთ. ბ-ნმა მიქიაშვილმა ამას ისიც დასძინა, რომ გამგეობის მომქირნეობა და მუყაითობა ხოლერობის დრო მაინცა და მაინც არაფერში სჩანსო. აქ 120 ხოლერიან ავადმყოფებზე 15 ათასი მანეთი დაიხარჯაო და ერევანში-კი რვა-ათას ავადმყოფზე სულ 17 ათასი მანეთი იმყოფინესო. ამ ნაირი მომხრეობა ბ-ნ მიქიაშვილისა ბ-ნს ნაზაროვს არაფრად მოეწონა და შეეკამათა ამ სიტყვებით: შეიძლება სულ იმისთვის დაერიათ ერევნელებს მძვინვარე ხოლერაო, რომ ფული ვერ გაიმეტეს მის შესამცირებლად და მოსასპობადაო. ბ-ნი ჩიკვაიძე და მისი თანამოაზრენი ამტკიცებდენ, რომ ყოველი რიგიანი სამსახური უნდა წავახალისოთო. შეიძლება ქალაქის მოურავმა არც-კი მიიღოს ჩვენი ჯილდო, მაგრამ, თუ ყოველი აქ მოსამსახურე დავაჯილდოეთ, გამგეობამ რა დაამავაო, და სხვ. ბოლოს გადასწყვიტეს უმრავლესობით: ქალაქის მოურავის წლიურ ჯამაგირს მიემატოს 500 მან., გამგეობის წევრებისას— ორას-ორასი და საბჭოს მდივანს მიეცეს ერთ ხანად 500 მანეთიო.

ქ. ბ—ძე

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საჩხერე.** ერთი წელიწადი შესრულდა წარსულ ოქტომბერში მას აქედ, რაც ჩვენ საჩხერეში დაარსდა ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი. ყველას კარგად ეხსომება, თუ რა ამბით მიეგება საჩხერის საზოგადოება ამ სასიამოვნო საქმეს: ზარბაზნების სროლას, ქართველთა და სომეხთა ეკკლესიების ზართა რეკას, ლხინს სკოლის დარბაზში და „რეჩებს“ საზღვარი არ აჰქონდა. მართალიც უნდა ვსთქვათ, საჩხერლები სწორედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ. დღეს ისინიც ელირსენ თავის შვილებისათვის სასწავლებელს, რომელსაც ხაზინა შეინახავდა და იმათ არაფრით არ შეაწუხებდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დღეს დაბადებული იმედი სადღაც გაჰქრა. ამ სკოლის საქმე უმეცარ კაცთა წყალობით სულ სხვა ნაირად დატრიალდა და იქნება სკოლა სრულიად მოისპოს.

აი, როგორ. საჩხერის საბლაღოჩინოს სამღვდელოებამ ააგო სკოლისათვის ერთი სრულებით გამოუსადეგი სახლი და სთხოვა ადგილობრივ ეპარქიალურ, მთავრობას ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი დაგვიარსეო. თხოვნა აუსრულდათ და, როგორც ყველას მოეხსენება, სკოლა დაარსდა. სამღვდელოებას ეგონა და დღესაც ისე ჰგონია, რომ ამ სახით გადმოიტანეს საჩხერეში სასულიერო სასწავლებლის პარალელური კლასები, ჯერ ორი და ცოტა დროში დანარჩენ ორსაც გადმოიტანენო. ნახეს მერე, რომ მარტო ორი მასწავლებელი გამოუგზავნიათ და არაფრად ეჭაშნიკათ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ოცამდეა მასწავლებელიო და აქ სამი მაინც უნდა იყოსო. ყრილობის დადგენილობით სამღვდელოებამ მოითხოვა მესამე მასწავლებელი და, რადგან 1200 მანეთი ხაზინის ფული, რომელიც ამ სკოლას ეძლევა, არ ეყოფოდა სამ მასწავლებელს და სკოლის ხარჯს, იმერეთის საეპარქიო სამოსწავლებო რჩევამ მასწავლებელი გამოგზავნა და ბრძანება სწავლის ფულის დაწესებისა: მოსწავლეთა გლეხთა და თავად-აზნაურთა შვილებს ექვს-ექვსი მანეთი გამოერთვას სწავლის ფულიო, ხოლო სასულიერო წოდება-კი გაანთავისუფლა ამ გარდასახადისაგან. ჩვენ გვგონია, რომ ეს სკოლა ღარიბ ხალხის შვილებისათვის დაარსდა და არა სამღვდელოებისათვის, რომელსაც თავისი სკოლებიცა აქვს და საშვალებაც, რომ თავისი შვილები უსწავლელი არ დასტოვოს.

ამ გარდასახადმა ბევრი გლეხთაგანი გამოათხოვა სწავლას.

ამ არა სასიამოვნო ამბავს თან მოჰყვა უფრო სამწუხარო ამბები. დადგა თუ არა ცუდი ამინდები, აღმოჩნდა რომ სხვა უვარგისობასთან სკოლის შენობა თურმე ცუდად ყოფილა დახურული და წვიმა ჩამოდის. ვერც მასწავლებლები და ვერც მოსწავლეები კლასებში ვეღარ გაჩერდნენ: მთელი შენობა დასველდა, იატაკებზე ტბები იდგა, სასწავლო ნივთები გაუფუჭდათ, ბუხრების მილებიდამ აგურები სცვიოდა; შეეშინდათ, სახლი თავზე არ დაგვენგრესო, და გაიბნენ იქით-აქეთ. სამოსწავლებო რჩევამ ამ შემთხვევისათვის დიდი საყვედური მისცა მასწავლებლებს, რომ იმათ მხდალობა გამოიჩინეს ამ საშიშარ დროს და ბავშვები ვერ დაიკავეს. ზოგი საყვედურსაც არ დააჯერეს და სრულებით დაითხოვეს.

იმედი გვქონდა, რომ სამასწავლებლო რჩევა შევიდოდა ღარიბის ხალხის მდგომარეობაში და, სრულიად თუ არ მოსპობდა სწავლის ფულს, შეამცირებდა მაინც. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა და სრულიად მოულოდნელად, ექვსმა მანეთმა თუმნამდის აიწია და ამითი დამწვარს მდუღარე დაესხა. დღეს ამ სასწავლებლის შეგირდებს შეადგენენ ფულიან სომეხთა და სასულიერო წოდების შვილები.

უნდა ვსთქვათ კიდევ, რომ ერთი მასწავლებელი და სკოლის გამგე დაითხოვეს და დანიშნეს ახალ გამგედ სკოლისა მრევლისაგან თავისუფალი მღვდელი. როგორც გავიგეთ სკოლის სახურავი შემოდგომაზე შეაკეთეს, მაგრამ წყალი ეხლა შარშანდელზე უმეტესად ჩამოდის, იატაკებზე ტბები დგას, ცეცხლის ნატამალი არ გააჩნიათ ამ დიდ ზამთარში (საჩხერეში დიდი თოვლია). სწყდებიან სიცივით მასწავლებლებიც და მოსწავლენიც. წინა წლის მაგალითის შიშით, ბავშვების დათხოვას ვერა ჰბედავენ და ვინ იცის, რა სენი გაუჩნდებათ. როგორც ვატყობთ, არაფერი-კი უნდა გამოვიდეს ამ სკოლიდამ. წარსულ წელში სასიამოვნო ის მაინც იყო, რომ მოსწავლეები ეკკლესიაში დადიოდნენ დაუკლებლად და მასწავლებლის შემწეობით კიდეც გალობდნენ შეძლების გვარად. წელს არც მასწავლებლები და და არც მოსწავლეები ეკკლესიაში არ გვინახავს. იმედია რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს, და 1,200 მ., რომელიც ეძლევა ამ სკოლას ღარიბების სწავლისათვის, უსარგებლოდ არ ჩაივლის.

ქ. ნათელაძე

---

# რუსეთი

„Рус. Мысль“-ის შინაგან მიმოხილვის ავტორს მოჰყავს სახელმწიფო კანტროლის ანგარიში 1891 წლისა და განმარტავს, რომ ამ ანგარიშში ბევრი ისეთი ცნობებია, რომელიც გულ-საკლავ სურათს გვიხატავს რუსეთის კეთილდღეობისასაო. ეს აშკარად სჩანს იქიდგან, რომ აღნიშნულ წელს ბევრი აუკრებავი სახელმწიფო გარდასახადი დარჩენილა სხვა-და-სხვა გუბერნიებზე. ამის შესახებ აი რას ამბობს ავტორი: „ჯერ კიდევ 50 წლის წინად გერმანელ ფინანსისტმა გოფმანმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობა ცუდად უნდა ჩაითვალოს, თუ აუკრებავი გაწერილი გარდასახადი მოსალოდნელ შემოსავლის $2-3\%$-ზე მეტია. ხოლო აუკრებავ გარდასახადის რაოდენობა ზოგიერთ რუსეთის გუბერნიებისა იმდენია, რომ დიდ განსაცდელს უქადის სახელმწიფოს. 19 გუბერნიას, თითოეულს 100,000 მანეთამდე აუკრებავი გარდასახადი ძლიერ მცირედ უნდა ჩაეთვალოს; 24 გუბერნიას, თითოეულს 100,000-დგან 500,000-მდე— ჩვეულებრივი მოვლენაა; და 7 გუბერნიას-კი, თითოეულს $\frac{1}{2}$ მილიონიდგან 1 მილიონამდე გარდუხდელი ვალი აძევს, ესე იგი $25\%$ გაწერილ გარდასახადისა. გარეშე ამისა 19 გუბერნიას, თითო მილიონზე მეტი ვალი დარჩენია გადუხდელი. აქედგან 1892 წელს 1 იანვარში დარჩენილა აუკრებავი გარდასახადი: ნიჟე-გოროდის გუბერნიაზე—$4\frac{1}{2}$ მილ. მანეთი, ტამბოვისაზე—$6\frac{1}{2}$ მილ. მანეთზედ მეტი, ყაზანისაზე—$11\frac{1}{3}$ მილ. და სამარისაზე—$14\frac{1}{2}$ მილიონამდე. ამ ნაირად 1891 წელს აუკრებავი გარდასახადი წინა წლის 64 მილიონ მანეთიდგან 94 მილიონ მანეთამდე ავიდა და გაწერილ გარდასახადის $68\%$ შეიქნა. ისეთი გუბერნიებიცაა, საცა აუკრებავი გარდასახადი ბევრად აღემატება გაწერილ გარდასახადს; ასეთებია: ტამბოვისა, რომელზედაც წლიურად გაწერილ გარდასახადის $124\%$ აუკრებავი დარჩენილა, პენზისა—$138\%$, სიბირსკ.—$145\%$, ორენბურგისა—$211\%$, ყაზანისა—$289\%$ და სამარასი—$387\%$. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გუბერნიებიდგან ხაზინას ახალი გარდასახადი-კი არ აუღია, პირ-იქით შემწეობაც მიუცია. გულის მომწყვლელი და დიდად დასაფიქრებელია ეს გარემოება! წარმოიდგინეთ, ყაზანის და სამარას გუბერნიები, ეს ბუნება-ჰავით მდიდარი ქვეყანა, ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილან, რო მათზედ დარჩენილი აუკრებავი ვალი 3—4 ჯერ მეტია წლიურ გარდასახადზედ.

---

თლების აყვავებისა...

მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ კახეთში რკინის გზა გაიყვანეს. უეჭველია, მაშინვე იფეთქებს „გონების განვითარება და ჭკუის ზრდა“, იმ წამსვე „მეცნიერების სიმაღლე“ ცივის მთის წვეროზე შეჰხტება და ბრწყინვალე სხივებს მოჰფენს კახეთის ტურფა დაბა-სოფლებს, დაუყოვნებლივ მკვდრეთით აღსდგება იყალთოს და გრემის ძველი აკადემია!.. სასიამოვნო იქნება მეტადრე პირველის „პოეზდის“ მისვლა: ვაგონები დატვირთულნი მივლენ ეპროპიულის განათლებით, უნივერსიტეტი, აკადემია და სხვა გვარი სასწავლებელი სოკოსავით გამრავლდება კახეთში და საზოგადოებაც განვითარდება... რადგანაც „უმთავრესი საშუალება გონების განვითარებისა ადვილ სასიარულო გზებია“!.. მხოლოდ ერთი რამე დასჭირდებათ კახელებს: რაც შეიძლება ბევრი ირბინონ რკინის გზით, სწავლის საქმე გვერდზედ მიაგდონ და ავტორს თხოვნა დააწერინონ, რომ მთავრობამ განათლების გამგეობა მოსპოს და მარტო „გზათა სამინისტრო“ დასტოვოს...

ოჰ, დიდი სასწაული შესძლებია რკინის გზას! რა მაგდენი ხანია, რაც ბაქოს რკინის გზა გაიყვანეს, მაგრამ აბა დახედეთ, როგორ გამოაფხიზლა თვით „მოწანწალე თათრის ხალხი“: „იგემეს თუ არა რკინის გზის სარგებლობა, ისინიც შეუდგნენ შრომას, მეურნეობას და გონების განვითარებას“... საკვირველ არიან საქმენი შენი, გზაო რკინისაო! მაშ ტყუილად-კი არა ჰგონია ავტორს, რომ „გონების განვითარება“ და „მეცნიერების სიმაღლე“ კუდზე აკერია რკინის გზასაო და სადაც მივა, განათლების შუქს მოჰფენსო... მაგრამ სხვა უფრო დიდი სასწაული გამოუჩენია ფოთი-ტფილისის რკინის გზას; თურმე იმან „ხალხიც განამრავლა“!.. საცოდავს საფრანგეთს სცოდნოდა მაინც ეს რკინის გზის შვილიერება! ბეჩავი ქვეყანა სულ იმას სჩივის და წუწუნებს, რომ ჩემი ხალხი წლითი-წლობით კლებულობსო. ვისი ბრალია, მერე?—აიღოს იმ დალოცვილმა და რკინის გზაზე ჯვარი დაიწეროს!.. არა, თუ ფოთი—ტფილისის რკინის გზამ „ხალხი განამრავლა“, საფრანგეთი ვისზე რა ნაკლებია. მე თქვენ მოგახსენოთ, სურვილი არა აქვს ხალხის გამრავლებისა!.. მაგრამ კმარა. მარხვა სინანულისა მოდის და იქნება ჩვენმა ლიტერატურამაც შეინანოს თავისი უნებლიეთი შეცდომანი.

ვიმეორებთ, რკინის გზას თავისი კუთვნილი მნიშვნელობა აქვს და კახეთმაც ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. რკინის გზა უპირველესად იარაღი და საშუალებაა, რომლის შემწეობით მოძრაობს მეურნეობა, ვაჭრობა და მრეწველობა. ამათი გაძლიერება კიდევ აძლევს ქვეყანას, სხვათა შორის, ღონისძიებას განათლებისა და ცოდნის შეძენისას. ამიტომ საჭიროა, რომ გონების განვითარება და ჭკუის ზრდა წინ უძღოდეს და ან მხარში მაინც უდგეს „ადვილ სასიარულო გზებს“; თუ ესე არ არის, მაშინ ერის საეკონომიო ცხოვრება ქვეითდება და მისი სიმდიდრე სხვების ხელში გადადის. სწორედ ასე ეპყრობიან ევროპიელები ზოგიერთა განუვითარებელ ერებსა და, ვინ არ იცის, იმათ მანქანებით რამოდენი ქვეყანა გალატაკდა... ძველად საქართველოს თავისი საკუთარი მრეწველობა მოეპოვებოდა, ყოველგვარი საეკონომიო დარგი თავისი ჰქონდა, ეხლა-კი ხელიდამ ბევრი რამ გამოეცალა და, მაგალითად, უწინდელის ფეიქრის ადგილი უცხოელმა ქარხნის პატრონმა დაიჭირა... წინად შინაური საფეიქრო მთელს სოფელს უმზადებდა ტანთსაცმელს, ეხლა-კი ყველა უცხოეთიდგან მოტანილს ჩითეულობას იცვამს. რად?—მისვლა-მოსვლა გახშირდა, მაგრამ სამრეწველო განვითარება ჯერ შეჩერდა, მერე მოისპო და უცხოელებს დარჩათ ბურთი და მოედანი. ამიტომაც რკინის გზა მაშინ მოიტანს შესაფერს და სასარგებლო ნაყოფს, როცა ჩვენ ხელს მივყოფთ სხვა-და-სხვა სპეციალურს სწავლას, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს საეკონომიო ცხოვრებასთან. გონების განვითარება და ჭკუის ზრდაც ამ საშუალებით უნდა დაიწყოს, თორემ მარტო ადვილ სასიარულო გზები დიდს განსაცდელში ჩააგდებს ჩვენს სამშობლოს და იქნება სრულიად დაუბნიოს ჭკუა და გონებაცა...

მაშასადამე, სასურველია, რომ რკინის გზამ თავისი კუთვნილი მნიშვნელობა აასრულოს და ჩვენ ჩვენის მხრით ვეცადნეთ, განათლება და განვითარება მივიღოთ სკოლათა და სასწავლებელთა გამრავლების შემწეობით.

Plebs

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

გთხოვთ მადლობა გამოგვაცხადებინოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით იმ პირთათვის, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ცხინვალის სამკითხველოს, აი სია შემომწირველთა: „ივერიის“ რედაქცია უფასოდ უგზავნის თავის გაზეთს. თ. აბეს. მაჩაბელმა შემოსწირა ორი მანათი., მ. წინამძღვარიშვილმა—2 მ., ვ. და ქ. ფავლენიშვილებმა—4 მ., მღვდ. მ. კაპანაძემ—2 მ., დიაკ. ა. კვინიკაძემ—2 მ., ი. №—2 მ., ფ. ლაშხმა—2 მ., ი. მელქუევმა—2 მ., ვ. შერმაზანოვმა—2 მ., ვ. და ი. ტერსტეფანოვებმა—2 მ., გ. ოვანოვმა—2 მ., ი. იარალოვმა—2 მ., ა. და მ. ცისკარაშვილებმა—4 მ., ს. მურადოვმა—2 მ., და თ. ი. თაქთაქიშვილმა—2 მ. აგრეთვე მადლობის ღირსი არის ცხინვალის მამასახლისი, რომელმაც აღმოუჩინა შემწეობა ხის მასალით და სხვაფრივ დახმარებით.

ივანე ელიოზიშვილი

26 იანვარს 1893 წ.

### II

ამასთანავე გვზავნი ოც-და-ცამეტს მანეთს გარდასაცემად ივანე ივანეს ძე გერსევანიძის სახლობისათვის. გთხოვთ დაჰბეჭდოთ სია შემომწირველთა:

მირიან ივანეს ძე ლოლაძე—10 მ., მიხეილ სვიმონის ძე ზედგინიძე—8 მ., მღვდ. დავით იანქოვი—2 მ., ანდრია სოლომონის ძე გომელაური—4 მ., გრიგოლ ლაზარეს ძე კოტიევი—2 მ., კნეინა სოფიო თუმანოვისა—3 მ., თ. ივანე იოსების ძე ვაჩნაძე—2 მ., ვასილ პავლეს ძე ასათიანი—2 მ., სულ—33 მან.

მირიან ლოლაძე

ახალი ბაიაზეთი (ერევნის გუბერნია)

---

# დეპეშა

3 თებერვალი

**კოპენჰაგენი.** გუშინ გარდაიცვალა რუსეთის აქაური ელჩი გრაფ ტოლი.

**ვენა.** "Neue Freie Presse" იუწყება, რომ პრინცის ფერდინანდის ქორწინების ამბავმა გააკვირვა კობურგელთა საგვარეულოს მეთაურნი. არავის ეგონა, თუ ესე მალე მოხდებოდა. ამბობენ, პრინცი ხვალ მოვა ვენას, დაჰყოფს აქ მცირე ხანს და მისალოცავად მისულთ მიიღებსო. პრინცესსა მარიამ ბურგუნდელი, ამბობენ, საოცრადა ჰგავს გერცოგინა ბერრიისას, გრაფის შანბორის დედას; ბურბონთა სახის ნამდვილი სურათიაო. განათლება ფრანგული მიუღია. ზოგი გაზეთი ამბობს, რომ პარმის გერცოგის გვარეულობას ნათესაობა აქვს ავსტრიის იმპერატორის სახლობასთანაო.

**ბერლინი.** მანტეიფელმა სთქვა დღეს რეიხსტაგში: „ზოგმა ჩემმა მეგობარმა მოიწონა სავაჭრო ხელ-შეკრულობა ავსტრიასთან, ხოლო იმის მიხედვით, რაც ჩვენ აქნობამდე გამოვცადეთ, ძალიან ცოტანი არიან და იქმნება არც-კი არავინ იყოს რუსეთთან ხელ-შეკრულობის მოსურნე“. თავისუფალთა დასის წევრმა ბარტმა უპასუხა: „როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ომი რუსეთთან დიდად სამწუხარო იქმნებოდა; ჩვენ უიმისოდაც ბევრი უთანხმოება გვაქვს რუსეთთან. თუ ეხლა ხელ-შეკრულობა ჩაიშალა, ბაჟებით ომი აუცილებელიაო“.

4 თებერვალი

**ვენა.** ანტისემიტები გუშინ რეიხსტაგს სთხოვდნენ ახალ კანონის შემოღებას, რომ საქონლის დაკვლა ურიულის წესით აღკრძალულ იქმნას, რადგანაც პირუტყვს მეტად სტანჯავენო.

**პარიჟი.** ნაფიცთა სასამართლომ გარდასწყვიტა: სენატორად ნამყოფი ლეგე დაპატიმრებულ იქმნას 5 წლით და ჯარიმა გამოერთვას 3000 ფრანკი; კასსირი პრევო 3 წლით და 100 ფრანკი ჯარიმა, რადგანაც სადინამიტო საზოგადოების ფული შემოხარჯვიათ არტონთან ერთად; არტონის შესახებ, რომელიც ეხლა გაქცეულია, სასამართლო შემდეგ დაადგენს განაჩენს.

პალატამ დააკანონა ფორტეპიანოებზე გარდასახადი დაედოსო, თვითოს 10 ფრანკი წელიწადში.

**პეტერბურგი.** ბირჟა: გირავნობის ფურცლები საადგილ-მამულო ბანკებისა: ტფილისის 6%—$102\frac{3}{4}$ მ., მყიდ., 5%—$100\frac{1}{4}$ მან. გაკეთდა; ქუთაისისა: 6%—102 მან., 5%—100 მან. მყიდ.; 5% ობლიგაცია ტფილისის საზოგადოებისა $99\frac{1}{4}$ მ., მყიდვ.

პეტერბურგის ბირჟა, 29 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7\frac{3}{4}$ | 7 79 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $155\frac{1}{4}$ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $242\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $228\frac{3}{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 196 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | $102\frac{3}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | $102\frac{3}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 | გირ. | | 5 | კ. |
| წითელი „ | 1-ის | ხარისხ. | „ | 4 | „ |
| „ „ | 2 | „ „ | „ | $3\frac{1}{2}$ | |
| „ „ | 3 | „ „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. | 1 | ხარ. | „ | 5 | კ. |
| „ „ „ | 2 | | „ | 4 | „ |
| „ „ „ | 3 | | „ | $3\frac{1}{2}$ | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. | 1 | გ. | | 7 | კ. |
| მე-2 „ | „ | „ | „ | 5 | „ |
| მე-3 „ | „ | „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | | 7 | კ. |
| სუკი | — | — | — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი | — | | — | 7 | „ |


# განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობას შეუტყვია, რომ ზოგიერთნი მეთულუხენი და წყლის მზიდავნი უზიდავდნენ მცხოვრებთ წყალს და დაწესებულ ფასს-კი არართმევდნენ—$\frac{3}{4}$ კაპიკის ვედროზედ, არამედ მეტს. ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ბბ-ნ მოქალაქეთ, მიჰმართონ პირდაპირ ქალაქის მილის წყლის კანტორას ყოველ იმ შემთხვევაში, როცა შეჰნიშნონ მეთულუხეთა და წყლის მზიდველთა ბოროტ-მოქმედება.

(3—3)

---

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—11)

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ევ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

---

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

газета политическая, литературная, экономическая и общественной жизни.

### Подписка на 1893 годъ.

Выходитъ ежедневно, въ форматѣ средняго газетнаго листа.

Съ цѣлью дать больше матеріала для чтенія газета выпускаетъ и вкладные листы.

Удовлетворяя желанія многихъ нашихъ подписчиковъ, редакція, не увеличивая цѣны газеты, будетъ выпускать для городскихъ подписчиковъ газету и послѣ праздничныхъ дней въ форматѣ четверти листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| Съ доставкой въ Тифлисѣ: | | Съ пересылкой для иногородныхъ: | |
|---|---|---|---|
| На годъ . . . | 5 р. | на годъ . . . . | 6 р. |
| „ полгода . . . | 3 „ | | |
| „ три мѣсяца . . . | 1 „ 75 к. | | |
| „ мѣсяцъ . . . | — „ 75 „ | | |

*Подписка принимается: Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова № 3.*

---

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება. გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლებში, № 21.